GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

25 Aralık / დეკემბერი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6 676.3	10.4%	17.3 %	0.1%

Gürcistan Başbakanı Yıllık Faaliyet Raporunu Sundu

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში წარადგინა

Gürcistan Başbakanı 2023 yıllık faaliyet raporunu sundu. Hükümet Başkanı cari yıl gerçekleştirilmiş önemli projeler ve gelecek planların üzerinde durdu.

- 200 000'den daha fazla sosyal açıdan savunmasız çocuğa aylık 200 Lari verilmektedir. Programın bütçesi 500 milyon Lari'ye kadar.
- Türk ilaç pazarının açılması ve ilaçlara referans fiyatların uygulamasıyla ülke nüfusunun ilaç masrafları yıllık olarak 400 milyon Lari civarında azalmakta.
- 01 Ekim 2023 tarihinden itibaren ambulans personelinin maaşlarına yine %10 zam geldi. 2024 yılından itibaren birinci basamak sağlık hizmetleri personelinin maaşlarına %10 oranında zam yapılması öngörülüyor.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

- 2024 yılından itibaren zor yaşam koşullarındaki evsiz ve çok çocuklu aileler için devlet yerleşim programı devreye alınacaktır. 2025 yılına kadar 1 000 evsiz ailenin yerleşimi için 50 000 000 Lari tahsis edilecektir.
- 2024 yılında emekli maaşına yine zam gelecektir. 70 yaş ve üzeri emeklilerin maaşlarına 50 Lari zam gelip maaş 415 Lari'ye çıkacak. Dağlık bölgelerde yaşayanlar takriben 500 Lari alacaklar. 70 yaş altı emeklilerin maaşı 315 Lari'ye çıkacak, dağlık bölgelerde yaşayanlara ise 380 Lari verilecek.
- 2023'ün Eylül ayından itibaren, Rukhi Devlet Hastanesi vatandaşlara 14'ten daha fazla alanda multidisipliner sağlık hizmeti vermekte. Halihazırda 1400'den daha fazla kişi yüksek kaliteli ve ücretsiz sağlık hizmetlerinden yararlanmıştı.
- Savunma Bakanlığı bütçesi 2024 yılında 1 milyar 380 milyon Lari'yi bulacaktır. Karşılaştırmak için, 2012 yılında bütçe 645 milyon Lari'yi teşkil ederdi. 2023'te 1000'den daha fazla askere daire takdim edildiği askeri şehrinin inşaatı tamamlandı.
- 2012 yılında İç İşleri Bakanlığı'nın bütçesi 675 milyon Lari olurken, 2024 yılında bütçe 1 milyar 260 milyon Lari'ye çıkacaktır.
- 2012 yılından itibaren Gürcistan'ın cezaevlerinden Avrupa İnsan Hakları Mahkemesi'ne gönderilen hiçbir dava devreye sokulmamış.
- Bugün için Gürcistan genelinde kamu hizmet binası'nın 118 şubesi vardır, 3 cezaevinde de birer şube bulunmakta. 2024 yılı sonuna kadar kamu hizmet binası Gürcistan'ın her belediyesinde olacaktır.
- 2024 yılında tamamlanacak olan sistemik arazi tescili projesi kapsamında 450 000'den daha fazla arazi tescil edildi. Proje sayesinde binden daha fazla istihdam sağlandı.
- Gürcistan, Belçika ve sınır ülkelerinde yer alan Europalia uluslararası festivalinde konuk ülke olarak temsil edilmektedir. Festival programı 60'a kadar etkinliği kapsamış olup Gürcistan ve kültürüne adanmıştır.
- Son 11 senede spor altyapısına yaklaşık 500 000 000 Lari harcandı. Ülkenin farklı şehirlerinde büyük çalışmalara imza atıldı. Mesela, UEFA 4. kategorisi 11 tane stadyumun onarım ve donatım çalışmaları yürütülmüştür.
- "Demokrasinin Çeşitleri" (V-Dem) kuruluşunun 2023 yılı Demokrasi Raporu'nda Gürcistan, 10 yıllık demokratikleştirme ilerlemesiyle dünyanın 179 ülke arasında ilk 10'da yer almaktadır.

Sunuma yürütme, yasama, yerel ve yargı makamlarının yanı sıra kordiplomatik ve patriklik temsilcileri de katıldılar.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიში წარადგინა. მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.

- 200 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი ბავშვი, ყოველთვიური დახმარების სახით 200 ლარს იღებს. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი 500 მილიონამდე ლარია.
- თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნითა და მედიკამენტებზე რეფერენტული ფასების დაწესებით ქვეყნის მოსახლეობის მიერ მედიკამენტებისთვის გაღებული ხარჯები წლიურად 400 მილიონი ლარით მცირდება.
- 2023 წლის 1 ოქტომბრიდან სასწრაფო დახმარების პერსონალის ხელფასი კვლავ გაიზარდა 10 %-ით. 2024 წლიდან გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა.
- 2024 წლიდან იწყება უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა. 2025 წლამდე 1 000 უსახლკარო ოჯახის განსახლებისთვის 50 000 000 ლარი გამოიყოფა.
- 2024 წლიდან პენსიები კვლავ გაიზრდება. 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთათვის 50 ლარით - 415 ლარამდე. პენსია მაღალმთიან დასახლებებში კი თითქმის 500 ლარს გაუტოლდება. 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 315 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 380 ლარს გაუტოლდება.
- 2023 წლის სექტემბრიდან რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო მოქალაქეებს მრავალპროფილურ სამედიცინო სერვისს 14-ზე მეტი მიმართულებით აწვდის. უკვე 1400-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მაღალკვალიფიციური, უფასო სამედიცინო მომსახურება.
- თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2024 წელს 1 მილიარდ 380 მილიონი ლარი იქნება. შედარებისთვის, 2012 წელს ბიუჯეტი 645 მილიონი ლარი იყო. 2023 წელს დასრულდა ჯარის ქალაქის მშენებლობა, სადაც ბინები 1000-ზე მეტ სამხედროს გადაეცა.
- შსს-ს ბიუჯეტი 2024 წელს 1 მილიარდ 260 მილიონი ლარი იქნება. შედარებისთვის, 2012 წელს ბიუჯეტი 675 მილიონი ლარი იყო.
- 2012 წლის შემდეგ ევროპის სასამართლოს საქართველოს პენიტენციური სისტემიდან გაგზავნილი არცერთი საქმე არ მიუღია წარმოებაში.
- დღეისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის 118 ფილიალი ფუნქციონირებს, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სახლები გაიხსნა სამ პენიტენციურ დაწესებულებაში. 2024 წლის ბოლომდე იუსტიციის სახლი საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს დაფარავს.
- მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში, რომელიც 2024 წელს დასრულდება, უკვე რეგისტრირებულია 450 000-ზე მეტი მიწის ნაკვეთი. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

- საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით არის წარმოდგენილი საერთაშორისო ფესტივალზე „ევროპალია“, რომელიც ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში ტარდება. საფესტივალო პროგრამა მოიცავს 60-ამდე ღონისძიებას და ეძღვნება საქართველოსა და მის კულტურას.
- გასული 11 წლის განმავლობაში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობას მოხმარდა 500 მილიონ ლარამდე. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში განხორციელდა მასშტაბური სამუშაოები. მაგალითად - უეფას მე-4 კატეგორიის 11 სტადიონის რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვა.
- ორგანიზაცია „დემოკრატიის მრავალფეროვნების“ 2023 წლის „დემოკრატიის ანგარიშში“ დემოკრატიზაციის 10-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოს 179 ქვეყანაში საუკეთესო ათეულშია.

  ღონისძიებას აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ადგილობრივი და სასამართლო ხელისუფლების, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

AB, Gürcistan'a Aday Ülke Statüsü Verdi

ევროკომიასიამ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა

Avrupa Birliği (AB) Gürcistan'a adaylık statüsü verirken, Ukrayna ve Moldova'yla da katılım müzakerelerini başlatma kararı aldı.

Tiflis'te, Hükümet Binası'nda, AB Konseyi'nin kararını değerlendiren Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili, Gürcistan'ın artık AB'ye aday ülke olduğunu kaydederek, **"Gürcistan bugünden itibaren bir Avrupa devletidir, Avrupa ülkesidir."** dedi.

Gürcistan'ın AB ile entegrasyonu yolunda, hükümet olarak özelikle 2012'den beri oldukça yoğun çaba sarf ettiklerini hatırlatan Garibashvili, bu başarının Gürcistan halkına ait olduğunu dile getirdi.



ევროსაბჭომ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა, უკრაინასა და მოლდოვასთან დაკავშირებით კი გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ **საქართველო** უკვე ევროკავშირის წევრობის კანდიდატია და **დღეიდან ევროპული სახელმწიფოა.**

ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ეს წარმატება ქართველ ხალხს ეკუთვნის, სახელმწიფო კი თავის მხრივ განსაკუთრებით 2012 წლიდან მოყოლებული ინტენსიურ სამუშაოებს სწევდა ამ მიზნის მიღწევისათვის.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan'ın Olumsuz Ticari Dengesi %43

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 43%-ია

Ulusal İstatistik Kurumu'nun verilerine göre, 2023'ün Ocak-Kasım aylarında Gürcistan'da mal dış ticareti cirosu (Beyan edilmemiş ticaret hariç) geçen seneye göre yüzde 14.7 artışla 19,626 milyar dolara çıktı. Bundan ihracat 5,584 milyar dolar (Büyüme yüzde 11.1), ithalat ise 14,042 milyar doları buldu (Büyüme yüzde 16.3).

Olumsuz ticari dengesi 2023'ün Ocak-Kasım döneminde dış ticaret cirosunun %43.1'i olan 8,457 milyar doları gördü.

Kasım ayına gelince, bu dönemde hem ihracat hem ithalat kısmında azalma gözlemlenmekte.

2023'ün Kasım ayında ihracat 482 milyon dolar, ithalat 1,224 milyar, olumsuz ticari denge ise 742,6 milyon doları teşkil etti.

Geostat verilerine göre, geçen senenin aynı döneminde 490,7 milyon dolar değerindeki mallar ihraç edildi, 1,311 milyar dolar değerindeki mallar ise ithal edilmiş olup olumsuz ticari dengesi 820,2 milyon doları buldu.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 19,626 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.7 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 5,584 მლრდ აშშ დოლარი იყო (გაიზარდა 11.1 პროცენტით), ხოლო იმპორტი 14,042 მლრდ აშშ დოლარი (გაიზარდა 16.3 პროცენტით).

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2023 წლის იანვარ-ნოემბერში 8,457 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.1 პროცენტია.

რაც შეეხება კონკრეტულად მხოლოდ ნოემბერს, აქ როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მხრივ შემცირება ფიქსირდება.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

კერძოდ, 2023 წლის ნოემბერში ექსპორტმა 482 მლნ დოლარი შეადგინა, იმპორტმა კი 1,224 მლრდ დოლარი, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 742,6 მლნ დოლარი იყო.
საქსტატის მაჩვენებლებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტზე 490,7 მლნ დოლარის პროდუქცია გავიდა, ქვეყანამ კი უცხოეთში 1,311 მლრდ დოლარის პროდუქცია იყიდა, შესაბამისად, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 820,2 მლნ დოლარი შეადგინა.

İstanbul'da Gürcistan ve Türkiye'nin Kültürel Konulardaki Ortak Komitesinin ilk Oturumu Gerçekleştirildi

სტამბოლში კულტურის საკითხებზე საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართა.

Gürcistan ve Türkiye'nin kültürel konulardaki ortak komitesinin ilk oturumu İstanbul'da gerçekleştirildi.
Gürcistan Kültür, Spor ve Gençlik Bakanlığı'ndan, Bakan Yardımcısı Nikoloz Aznaurishvili başkanlığındaki heyet Türkiye'ye çalışma ziyaretinde bulundu.
Gürcistan-Türkiye'nin ortak komitesinin ilk oturumuna T.C. Kültür ve Turizm Bakan Yardımcısı Gökhan Yazgı Türk heyeti ile birlikte ev sahipliği yaptı.
Ziyaret sırasında iki ülke arasında sinema, edebiyat, kültürel miras, gösteri ve görsel sanatları ve müze/sergi gibi sanat dallarında işbirliğinin geliştirilmesi yolları ele alındı.
Taraflar ortak film yapımı ve görsel işitsel alanda yaratıcı ilişkilerden bahsetmiş oldu.
Bununla birlikte, gösteri ve güzel sanatlar enstitülerinin yanı sıra müzeler arasındaki ilişkilerin geliştirilmesi, uluslararası kitap fuarlarına, edebiyat festivallerine ve yarışmalara katılım konuları da görüşüldü.
Gürcü ve Türk tarafları somut ve somut olmayan tarihi ve kültürel mirasın korunması ve ortak bilimsel ve restorasyon araştırmaları alanında işbirliğini sürdürerek bu doğrultuda deneyim paylaşımı ve uzman desteğini sağlayacaklar.
Gürcistan-Türkiye ortak komitesinin ilk oturumuna ayrıca Gürcistan Ankara Büyükelçisi Sn. Geooge Janjgava da katılmıştı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

სტამბოლში კულტურის საკითხებზე საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მოადგილის, ნიკოლოზ აზნაურაშვილის, ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით თურქეთში იმყოფებოდა.

კულტურის საკითხებზე საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი კომიტეტის პირველ სხდომას მასპინძლობდა თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე გოქჰან იაზგი თურქულ დელეგაციასთან ერთად.

ვიზიტისას განიხილეს თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის განვითარების გზები, კერძოდ, კინოს, ლიტერატურის, კულტურული მემკვიდრეობის, საშემსრულებლო და სახვითი ხელოვნებისა თუ სამუზეუმო/საგამოფენო მიმართულებებით.

მხარეებმა ისაუბრეს ერთობლივი კინოწარმოებისა და შემოქმედებითი ურთიერთობების შესახებ აუდიოვიზუალურ სფეროში.

აგრეთვე, განიხილეს საშემსრულებლო და სახვითი ხელოვნების ინსტიტუტებს, ასევე, მუზეუმებს შორის ურთიერთობების განვითარების, წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე, ლიტერატურულ ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის საკითხები.

ქართული და თურქული მხარეები გააგრძელებენ თანამშრომლობას მატერიალური და არამატერიალური ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ერთობლივი სამეცნიერო და სარესტავრაციო კვლევების სფეროში და ასევე ხელს შეუწყობენ გამოცდილების გაცვლასა და ტექნიკურ და ექსპერტულ მხარდაჭერას ამ მიმართულებით.

საქართველოს მხრიდან საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი კომისიის პირველ სხდომაში მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, გიორგი ჯანჯღავა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Köprü

ხიდი

"Amirani" sinemasında yönetmen Erekle Badurashvili'nin çektiği, ilk Gürcü-Türk yapımı ve "Gürcü Film" film stüdyosunun bir projesi olan "Köprü" filmin ilk gösterimi gerçekleştirildi.

Film galasına ortak yapımcılar- Erdal Küçük ve Önder Asru, ayrıca Türk ve Gürcü oyuncular katılmıştı.

"Köprü"- meşhur bir Türk doktor İsmet Dindar-Mikeladze'nin atası ile ilgili gerçek bir olaya dayanmaktadır.

Film, Gürcistan Ulusal Film Merkezi ve Ajara Özerk Cumhuriyeti Eğitim, Kültür ve Spor Bakanlığı tarafından finanse edildi.

Senaristi Otar Pertakhia, söz bestekarı Davit Evgenidze, baş kameramanı ise Tamaz Goginashvili.

Filmde ünlü Gürcü yıldızlar: Nini Badurashvili, Zurab Tsintskiladze, Davit Dvalishvili, Davit Roinishvili, Kristine İmedadze, Cano İzoria, Soso Lagidze, Davit Khakhidze ve Giorgi Gurgulia oynuyorlar.

Filmde İsmet Dindar-Mikeladze'nin de rol alması belirtilmelidir. Türk sinemasının yıldızı, Emre Kızılırmak ise baş rolü oynamakta.

Yönetmen Erekle Badurashvili'nin vefatının ardından film çekimleri Giorgi Tavartkiladze, Giorgi Kharebava ve Khatuna Khundadze tarafından tamamlanmıştır.

კინოთეატრ „ამირანის" დიდ დარბაზში კინოსტუდია „ქართული ფილმის" პროექტის, პირველი ქართულ-თურქული ნამუშევრის, რეჟისორ ერეკლე ბადურაშვილის ფილმის „ხიდი"-ს ქართული პრემიერა გაიმართა.

ღონისძიებას კოპროდიუსერები - ერდალ ქუჩუკი, ონდერ ასრუ, თურქი და ქართველი მსახიობები ესწრებოდნენ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

„ხიდი“ ნამდვილ ამბავს ეფუძნება, რომელიც ცნობილი თურქი ექიმის, ისმეთ დინდარ-მიქელაძის, წინაპარს გადახდა.
ფილმი საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსდა.
ფილმის სცენარის ავტორია ოთარ პერტახია, მუსიკა ეკუთვნის დავით ევგენიძეს, ხოლო დამდგმელი ოპერატორი თამაზ გოგინაშვილი გახლდათ.
ფილმში მონაწილეობენ ცნობილი ქართველი ვარსკვლავები: ნინი ბადურაშვილი, ზურაბ ცინცქილაძე, დავით დვალიშვილი, დავით როინიშვილი, ქრისტინე იმედაძე, ჯანო იზორია, სოსო ლაღიძე, დავით ხახიძე, გიორგი გურგულია და სხვები.
აღსანიშნავია, რომ ფილმში მონაწილეობს თავად ისმეთ დინდარ-მიქელაძე. მთავარ როლში კი, თურქული კინოს ვარსკვლავი, ემრე კიზილიმარკია.
რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ, ფილმი დაასრულეს გიორგი თავართქილაძემ, გიორგი ხარებავამ და ხათუნა ხუნდაძემ.

Pegasus Hava Yolları Kutaisi-İstanbul Seferlerini Başlattı

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში PEGASUS AIRLINES-მა ოპერირება დაიწყო

Ajara Bütçesi 726 Milyon Lari'ya Çıktı

აჭარის ბიუჯეტი 726 მილიონ ლარამდე გაიზარდა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Özgürlük Meydanı'ndaki Dönel Kavşağı Çift Yönlü Trafiğe Açılıp Bisiklet Yolu Yapılacak, Meydanın Merkezinde ise Park Kurulacaktır

თავისუფლების მოედანზე წრიული მოძრაობის სქემა შეიცვლება ორმხრივი ქუჩებით და ველობილიკებით, მოედნის ცენტრალური ნაწილში კი სკვერი მოეწყობა

"Silknet" 5G Hizmeti Vermeye Başlar

"სილქნეტი" 5G ტექნოლოგიის მიწოდებას იწყებს

Gürcistan Vatandaşlarının Almanya'dan Sınırdışı Edilme Oranı Arttı

გერმანიიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის მაჩვენებელი გაიზარდა

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LCWAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6878 TRY/GEL – 0.0920 EUR/GEL – 2.9614 GBP/GEL – 3.4183

USD/GEL

25 Aralık 2023

USD/TR

25 Aralık 2023

TRY/GEL

25 Aralık 2023



BTC – 41, 725, 08

25 Aralık 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING